პროლეტარეზო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

KOMUNISTI—

საქართველოს კომუნისტური კარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1976 შაბათი 20 ნოემბერი № 274 (16704) ფასი 2 კაპ. 1976

კომუნიზმის მშენებლობაში ახალი გამარჯვებებისაკენ!

საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესია

19 ნოემბრის დილის სხდომა

საქართველოს მშრომელები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, წარმატებით ასრულებენ სკკპ XXV ყრილობის გადწყვეტილებებს, რომელთა მიზანია ქვეყნის ეკონომიური პოტენციალის შემდგომი გადიდება, მშრომელთა ცხოვრების დონის განუხრელი ამაღლება, ხოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის სრულყოფა.

ახალი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა გამოიწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვამ, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ოქტომბრის პლენუმზე წარმოთქვა. ამ სიტყვაში მოცემულია სკკპ XXV ყრილობის გადწყვეტილებათა განხორციელებისათვის საბჭოთა ხალხის საქმიანობის მკაფიო და კონკრეტული პროგრამა.

19 ნოემბერს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ხხდომათა დარბაზში დაიწყო საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის პირველი სხდომა.

თავმჯდომარის მაგიდას უსხედან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი ი. ბ. აბაშიძე, თავმჯდომარის მოადგილეები — დეპუტატები ზ. ო. ვასაძე, თ. შ. ქაბულოვა, ო. ნ. კარბა.

მთავრობის ლოჟებში არიან ამხანაგები პ. ვ. ბილაშვილი, ა. ნ. ინაური, შ. დ. კიკნაძე, თ. ნ. მელითაშვილი, ზ. ა. პატარიძე, ჯ. ი. პატიაშვილი, ე. ა. შევარდნაძე, ზ. ა. ჩხეიძე, თ. ი. მოსაშვილი, ქ. ა. შარბაბა, ო. ე. ჩერქეზიანი, ნ. ა. ჭიმანავა, ხ. ე. ხაბეიშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მთავრობის წევრები.

სესია გახსნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა ი. ბ. აბაშიძემ.

დეპუტატებმა ფიზზე ადგომით პატივი სცეს მეოთხე და მეხუთე სესიებს შორის პერიოდში გარდაცვლილ დეპუტატთა ხსოვნას.

დამტკიცეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საშინაგანო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ დ. დ. მაღალაშვილის მოხსენება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ ქალაქ თბილისის № 44 ორმენაკეიძის საარჩევნო ოლქში, ყვარდანის რაიონის № 74 ქენალოს საარჩევნო ოლქში, ყვარლის რაიონის № 190 ყვარლის საარჩევნო ოლქსა და ქალაქ ქუთაისის № 232 თბილისის საარჩევნო ოლქში, რომელიც 1976 წლის 12 სექტემბერს გაიმართა. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებად იქ შესაბამისად არჩეული არიან: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე გურამ ნიკოლოზის-ძე ენუქიძე, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივი წარმომადგენელი თეიმურაზ შალვას-ძე ხაჩიძე, საქართველოს კომპარტიის ყვარლის რაიკომის პირველი მდივანი რობერტ გიორგის-ძე ურჯუმელაშვილი, ამერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრი — პოლიტსამმართველოს უფროსი ალექსი მეთოდეს-ძე ოვერჩუკი.

დამტკიცეს სესიის მუშაობის დღის წესრიგი. დღის წესრიგში შეტანილია შემდეგი საკითხები:

1. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების სახელმწიფო ხუთწლიანი გეგმა.
2. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1977 წლის სახელმწიფო გეგმა.
3. საქართველოს სსრ 1977 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი და საქართველოს სსრ 1975 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება.
4. წიალის შესახებ საქართველოს სსრ კოდექსის პროექტი.
5. საქართველოს სსრ უმაღლესი ხაბჭოს ქალის შრომისა და ყოფა-ცხოვრების, დედისა და ბავშვის დაცვის საკითხთა მუდმივი კომისიის შექმნა.
6. საქართველოს სსრ უმაღლესი ხაბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება.

დამტკიცეს სესიის მუშაობის წესი.

დეპუტატები შეუდგნენ დღის წესრიგის საკითხების განხილვას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა ზ. ა. პატარიძემ გააკეთა მოხსენება „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების სახელმწიფო ხუთწლიანი გეგმა და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1977 წლის სახელმწიფო გეგმა“.

გამოცხადდა შესვენება. შესვენების შემდეგ დეპუტატები შეუდგნენ დღის წესრიგის შემდეგი საკითხის განხილვას. დღის წესრიგის მესამე საკითხზე — „საქართველოს სსრ 1977 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი და საქართველოს სსრ 1975 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება“ მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრმა დეპუტატმა შ. ა. ანანიაშვილმა.

დეპუტატებმა მოიხმინეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო კომისიის თანამოხსენება, რომელიც გააკეთა ამ კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა ზ. ა. ჩხეიძემ.

მოხსენებებისა და თანამოხსენების გამო დაიწყო კამათი.

კამათში გამოვიდნენ დეპუტატები: ა. პ. საყვარელიძე (ქალაქ სოხუმის თბილისის საარჩევნო ოლქი), ბ. თ. ლოგაშანიძე (ქალაქ თბილისის მახათის საარჩევნო ოლქი).

ამით დღის სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

19 ნოემბრის საღამოს სხდომა

16 საათზე დეპუტატები კვლავ შეიკრიბნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში. დაიწყო საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის საღამოს სხდომა.

სხდომას თავმჯდომარეობს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დეპუტატი თ. შ. ქაბულოვა.

დეპუტატებმა განაგრძეს განხილვა მოხსენებებისა „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების ხუთწლიანი სახელმწიფო გეგმა“ და „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1977 წლის სახელმწიფო გეგმა“, აგრეთვე თანამოხსენება დღის წესრიგის ამ საკითხებზე.

განახლებულ კამათში მონაწილეობდნენ დეპუტატები: ვ. ა. ძერაიკაშვილი (თელავის რაიონის კურდღელაურის საარჩევნო ოლქი), ი. ა. ჯაში (ხულოს რაიონის ხიხაძირის საარჩევნო ოლქი), ბ. ი. მარდანოვი (ზნაურის რაიონის ზნაურის საარჩევნო ოლქი), მ. ნ. კობახიძე (ქალაქ ქუთაისის ძერეინსკის საარჩევნო ოლქი), ი. ჯ. უბილავა (ქალაქ ფოთის ორჯონიკიძის საარჩევნო ოლქი), ზ. ა. ოჭერიმაველიშვილი (საგარეჯოს რაიონის მანავის საარჩევნო ოლქი), ბ. რ. კვარაცხელია (ქალაქ ზუგდიდის ოქტომბრის საარჩევნო ოლქი), ე. ს. პურტანიძე (ქალაქ რუსთავის ლენინის საარჩევნო ოლქი); ო. ვ. ოსაძეთაძეშვილი (გორის რაიონის ხიდისთავის საარჩევნო ოლქი).

ამით საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის საღამოს სხდომა დახურულად ცხადდება.

20 ნოემბერს სესია მუშაობას განაგრძობს.

(საქინფორმი).

თბილისი, 1976 წლის 19 ნოემბერი. ხურათზე: საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის სხდომა.

ვლ. გინზბურგის ფოტო.

მუდამ სადარაჯოზე

სარაკეტო ჯარებისა და არტილერიის დღის აღსანიშნავად

მოსკოვი. საბჭოთა არმიის ცენტრალურ თეატრში გაიმართა დედაქალაქის მშრომელთა და მოსკოვის გარნიზონის შეომართა წარმომადგენლების კრება, რომელიც მიეძღვნა სარაკეტო ჯარებისა და არტილერიის დღეს.

მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილემ, სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო ჯარების მთავარსარდალმა არმიის გენერალმა ვ. თ. ტოლუბკომ.

დიდი აღმავლობით მიიღეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსადმი. (საკდესი).

თბილისი. თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლში გაიმართა საქართველოს დედაქალაქის მშრომელების, თბილისის გარნიზონის ჯარის ნაწილების წარმომადგენელთა კრება, რომელიც მიეძღვნა სარაკეტო ჯარებისა და არტილერიის დღეს.

მქუხარე, ხანგრძლივი ტაშის გრიალში კრების სპეციალურ პრეზიდიუმში ირჩევენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

საზეიმო კრების პრეზიდიუმში არიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ჯ. პატიაშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ჩერქეზია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების . განყოფილების გამგე ა. მანელაშვილი, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკები, ამერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის შტაბისა და პოლიტსამმართველოს გენერლები და ოფიცრები, დიდი სამამულო ომის ვეტერანები.

საზეიმო კრება გახსნა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ს. რიგვავამ.

სარაკეტო ჯარებისა და არტილერიის დღის შესახებ მოხსენება გააკეთა ამერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სარაკეტო ჯარებისა და არტილერიის უფროსმა, არტილერიის გენერალ-ლეიტენანტმა ბ. ვინოგრადოვმა.

საზეიმო კრების მონაწილეთათვის გაიმართა დიდი კონცერტი.

(საქინფორმი).

19 ნოემბერი

„პრავდის“ ფურცლებზე

იუგოსლავიაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეგობრული ვიზიტის დიდმნიშვნელოვან შედეგებს ეძღვნება „პრავდის“ გუშინდელი ნომრის მოწინავე წერილი „**მეგობრობისა და თანამშრომლობის კურსით**“.

გაიმართა ყაზახეთის და სომხეთის კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების პლენუმები, რომლებმაც განიხილეს რესპუბლიკური პარტიული ორგანიზაციების ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებების და სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვიდან გამომდინარე დასკვნების შესაბამისად. პლენუმების მოკლე ანგარიში გამოქვეყნებულია მეორე გვერდზე საერთო სათაურით — „**მთელი ძალების მობილიზებით**“.

სარაკეტო ჯარებისა და არტილერიის დღესთან დაკავშირებით გაზეთი მკითხველებს სთავაზობს „პრავდის“ კორესპონდენტის საუბარს სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო ჯარების მთავარსარდალთან, სოციალისტური შრომის გმირთან, არმიის გენერალ ვ. თ. ტოლუბკოსთან. („**მუდმივი საბრძოლო მზადყოფნა**“ — მესამე გვერდი).

კრეკოვი როგორ ძერჟინსკის სახელობის მაღაროთასამმართველოს ცხრა მიწისქვეშა სასადღლოში ზამთარ-ზაფხულ სადღლად იძლევიან ახალი კიტრის სალათას. მზარეულებს ბოსტნეულს აწვდიან 370 მეტრ სიღრმეზე მდებარე შახტიდან. აქ, მიწისქვეშა საოთბურებში, დნეპროპეტროვსკის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მეცნიერები ბოსტნეული კულტურების მოყვანის საინტერესო ექსპერიმენტებს ახორციელებენ.

თუ რას წარმოადგენს ეს ექსპერიმენტი, ამაზე მკითხველი გაეცნობა „პრავდის“ კორესპონდენტის ვ. ჩერკასოვის წერილში „**ბოსტნები მიწის ქვეშ**“, რომელიც დაბეჭდილია მესამე გვერდზე რუბრიკით „**ფაქტი კომენტარით**“.

„პრავდის“ გუშინდელ ნომერში მრავალი საინტერესო მასალაა აგრეთვე დაბეჭდილი რუბრიკით: ექსპედიცია **დაბრუნდა**“, „**რეპორტიორის შენიშვნები**“, „**ახალი ამბები**“ და სხვ.

ПРАВДА

შეჯიბრებაში გაიმარჯვეს

თბილისი. 170 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქციის ანგარიშში 16 მილიონ მანეთისაზე მეტი ღირებულების ზეგეგმითი პროდუქცია გამოუშვეს წლის განვლილ ათ თვეში საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმოთა კოლექტივებმა.

ამ წარმატებას მათ სოციალისტური შეჯიბრების კარგი ორგანიზაციით, წარმოების ყველა რგოლში ეფექტიანობის ამაღლებით, დისციპლინის და პასუხისმგებლობის განმტკიცებით მიაღწიეს.

მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს კოლეგიამ და ამ დარგის პროფკავშირის რესპუბლიკურმა კომიტეტმა ტრადიციულად შეაჯამეს მესამე კვარტალის მუშაობის შედეგები და გამოავლინეს გამარჯვებულები. შეჯიბრებაში პირველ ადგილზე გამოვიდნენ თბილისის პირველი მაისის სახელობის სამკერვალო, წინდების, „ნადიკვარის“ სამკერვალო და სამტრიდის აბრეშუმის ძაფსაღები ფაბრიკების, **მეორეზე** — ბათუმის სამკერვალო ფაბრიკის, ქუთაისის „გელათის“ სამკერვალო და ბამბის საქსოვი გაერთიანებების, ხოლო **მესამეზე**—თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკა „ნარიყალას“ და № 3 სატრიკოტაჟო ფაბრიკების კოლექტივები.

ეს რედაქციას აცნობეს საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრმა **ვ. გამცემლიძემ** და საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ **ნ. ლაკიამ.**

თბილისი. საქმთავარენერგოს სისტემაში შეჯამდა წლის მესამე კვარტალის და განვლილი ათი თვის მუშაობის შედეგები. საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში წარმატება მოიპოვეს თბილისის სახელმწიფო რაიონული თბოელექტროსადგურის, ხრამჰესის № 5 კასკადის, ქუთაისის, სოხუმის და გურჯაანის ელექტროქსელების კოლექტივებმა, რომლებმაც პირველი, მეორე და მესამე ადგილები მოიპოვეს.

საქმთავარენერგოს კოლექტივები წარმატებით შრომობენ წლიური დავალების და ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის, **მათ ათ თვეში სახალხო მეურნეობას მიაწოდეს 9 მილიარდ 209 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია, 200 მილიონი კილოვატსაათით მეტი, ვიდრე სახელმწიფო გეგმა ითვალისწინებდა.**

კუბის რესპუბლიკის სამეახლოვრო მედლების გადაცემა

კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და რევოლუციური მთავრობის დავალებით კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრმა, კუბის რესპუბლიკის ელჩმა საბჭოთა კავშირში სეგეროო აგირე დელ კრისტომ 19 ნოემბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს გადასცა სამახსოვრო მედალი „XX წლისთავი“ ეს მედალი დაწესდა მოწყადის ყაზარმის შტურმის მე-20 წლისთავის აღსანიშნავად, რამაც დასაბამი მისცა კუბის რევოლუციას.

სამახსოვრო მედლები გადაეცათ აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატებსა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნებს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელებმა გულითადი მადლობა გადაუხადეს კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და კუბის რესპუბლიკის რევოლუციურ მთავრობას საპატიო ჯილდოებისათვის.

დარბაზობა კრემლში

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოდგორნიმ 19 ნოემბერს კრემლში მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების გარემოს დაცვის საგანგებო დირექტორი რასელ ტრეინი, ამერიკის დელეგაციის ხელმძღვანელი საბჭოთა კავშირ-ამერიკის გარემოს დაცვის დარგში თანამშრომლობის შერეული კომისიის მოსკოვში მიმდინარე მეხუთე სესიაზე.

ნ. ვ. პოდგორნისა და რ. ტრეინს შორის გამართულ საუბარში შეეხნენ საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში გარემოს დაცვისათვის წარმოებულ მუშაობასთან. აღინიშნა, რომ ამ დარგში წარმატებით ვითარდება საბჭოთა კავშირ-ამერიკის თანამშრომლობა, რომელსაც დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

განიხილეს აგრეთვე საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის ზოგიერთი სხვა საკითხი.

(საკდესი).

თანამშრომლობის ჰორიზონტები

18 ნოემბერს მოსკოვში დამთავრდა სოციალისტური ქვეყნების უმაღლესი განათლების მინისტრთა თათბირი, რომელზეც განიხილეს სტუდენტთა კომუნისტური აღზრდისა და მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადების აქტუალური ამოცანები.

როგორც მომხსენებლებმა აღნიშნეს, უმაღლესი სკოლის განვითარებაში სოციალისტურმა სახელმწიფოებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს. ეს იმის შედეგია, რომ კომუნისტური და მუშათა პარტიები განუხრელად ზრუნავენ განათლებაზე.

თათბირის მონაწილეებმა განიხილეს სწავლის პროცესის მეცნიერული ორგანიზაციისა და მომავალი სპეციალისტების მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების საკითხები, უმაღლეს სასწავლებლებში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის მოწყობის გზები, ერთმანეთს გაუზიარეს გამოსათვლელი ტექნიკის გამოყენების გამოცდილება. დამტკიცდა უმაღლესი განათლების პრობლემათა მეცნიერული კვლევის საკოორდინაციო გეგმა 1976-1980 წლებისათვის.

თათბირის მონაწილეები მიიღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნებმა კ. თ. კატუშევმა და მ. ვ. ზიმიანინმა. გაიმართა მეგობრული საუბარი უმაღლესი სკოლის პერსპექტიული განვითარებისა და სოციალისტური ქვეყნების მეგობრობის შემდგომი განმტკიცების საკითხებზე. (საკდესი).

გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სსრ კავშირის სახალხო მხატვარ ვ. დ. გუდიაშვილისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

საბჭოთა სახვითი ხელოვნების განვითარებაში დიდი ღვაწლისათვის სსრ კავშირის სახალხო მხატვარს **ვლადიმერ (ლადო) დავითის-ძე გუდიაშვილს** მიენიჭოს **სოციალისტური შრომის გმირის** წოდება და გადაეცეს **ლენინის ორდენი** და ოქროს მედალი **„ნამგალი და ურო“.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. პოდგორნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1976 წ. 19 ნოემბერი.

მოგილოცავთ!

ხალხისა და ქვეყნის სიყვარულით



უსაზღვროდ ბედნიერი ვარ, რომ პარტიამ და მთავრობამ ესოდენ დიდი შეფასება მისცეს ჩემს შემოქმედებითს მოღვაწეობას და სოციალისტური შრომის გმირის წოდება მომანიჭეს. სიამაყით შემიძლია ვთქვა, რომ ეს საპატიო ჯილდო მარტო მე კი არა, მთელ ჩვენს ქართულ საბჭოთა ხელოვნებას ეკუთვნის. ჩასწვდა ხალხს უკვდავ სულს, შეიცნო და შეიყვარო მისი წარსული სიხალლითა და ცრემლით დაწერილი მატიანე, შრომის პათოსით აღსავსე დღევანდელობა, აღმშენებლობის საოცარი რიტმი — ეს დიდი შემოქმედებითი ბედნიერებაა. მთელი ჩემი შეგნებული სიცოცხლე მშობლიური ხალხის უანგარო სამსახურში გამილევია და დღეს, როცა შრომა დამფასდა, მინდა მადლობა მივუძღვნა ყველას, ვისაც ჩემს ნამუშევრებში უგრძნია სიყვარული, სიკეთის მარცვალი, გისაც სჯეროდა, რომ ხელოვნების უპირველესი დანიშნულება ხალხის და ქვეყნის სამსახურია.

80 წლისა ვარ, მაგრამ როგორც იტყვიან, კვლავ ჭარმაგად ვგრძნობ თავს, ძალა შემწევს შრომისა და გარჯისა. სიცოცხლის სიყვარული, ჩემი ხალხის სიყვარული ძალას მაძლევს. ამ დალოცვილ მიწაზე ფეხი კვლავ მაგრად მიდგას და მისი ღონე ჩემშიც გადმოღის, მასულდგმულებს. მინდა კვლავ შევქმნა ჩვენს თანამედროვეთა შრომაზე ახალი ტილოები, ავსახო მეჩაიე და მევენახე, მიწის მუშა და მეფოლადე, ვინც ქმნის ჩვენი ქვეყნის დარაქას, ვინც ასე შემართებით აგებს კომუნიზმის დიად შენობას.

ლადო გუდიაშვილი,

საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვარი, შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატი.

ხელი მოაწერეს შეთანხმებას

19 ნოემბერს მოსკოვში სსრ კავშირის მთავრობამ და ნეპალის სამეფო მთავრობამ ხელი მოაწერეს შეთანხმებას ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ.

შეთანხმებას ხელი მოაწერეს ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ს. ა. სკაჩკოვმა და ნეპალის ელჩმა სსრ კავშირში ჯაგდიშ შ. ჯ. ბ. რანამ.

ხელმოწერას დაესწრნენ ნეპალის საგარეო საქმეთა მინისტრი კრიშნა რაჯ არიალი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და საგარეო ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის პასუხისმგებელი თანამშრომლები.

(საკდესი).

□

მეგობრულ ვითარებაში

19 ნოემბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ მიიღო ნეპალის საგარეო საქმეთა მინისტრი, პროფესორი კ. რ. არიალი და ესაუბრა მას. საუბარმა მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

ჩვენი სტუმრები

პორტუგალიის მთავრობის დელეგაცია საქართველოში

□

„ჩვენი ხალხების შემდგომი დაახლოება ჩვენი მიზანია“, — განაცხადა პორტუგალიის მთავრობის დელეგაციის მეთაურმა, სსრ კავშირში პორტუგალიის რესპუბლიკის ელჩმა მ. ფეიშეშა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილესთან შ. დ. კიკნაძესთან 19 ნოემბერს გამართული საუბრის დროს.

დელეგაცია საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირ-პორტუგალიის ეკონომიური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის შერეული კომისიის პირველი სესიის მუშაობაში მონაწილეობისათვის.

სტუმრებს გააცნეს საქართველოს სს რესპუბლიკის ცხოვრების სხვადასხვა მხარე.

საუბარში მონაწილეობდნენ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ი. გ. გეერდუითელი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს რწმენებული რ. ს. ელიგულაშვილი.

(საქინფორმი).

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების სახელმწიფო ხუთწლიანი გეგმა და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1977 წლის სახელმწიფო გეგმა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის დეპუტატ ზ. ა. პაპაჩარიძის მოხსენება

ამხანაგო დეპუტატებო!

მძლავრი, უბრეტი სასიცოცხლო ძალებით აღსავსემ დაიწყო ჩვენმა ქვეყანამ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის საიუბილეო, მესამოცე წელი.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ მომდინარე მეათე ხუთწლედში სრულდება ჩვენი ქვეყნის განვითარების პირველი ხუთწლიანი გეგმის მიღების ნახევარი საუკუნის იუბილე.

მეურნეობის სისტემატურ ხუთწლიან დაგეგმვაზე გადასვლას ეშმარტად მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა. მან დაიჩქარა საზოგადოებრივ შეგნებაში ეკონომიკის, კულტურის, მთლიანად საზოგადოებრივი ცხოვრების — განვითარების შესაძლებელი გზების გადაფასების პროცესი. სწორედ ხუთწლიანი დაგეგმვის მდიდარმა გამოცდილებამ დამაჯერებელად, მთელი სიმრთელე დაადასტურა, რომ ეკონომიკისა და მეურნეობის დაგეგმვის ეს სისტემა მთელი სახელმწიფოს მასშტაბით თვისებრივად ახალი მოვლენაა კაცობრიობის მთელ ისტორიაში. იგი მეცნიერებისა და საზოგადოებრივი პრაქტიკის ერთ-ერთი ყველაზე მკაფიო, ეშმარიტად უდიდესი მიღწევაა მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების რევოლუციური გარდაქმნისათვის ბრძოლაში.

ყველა ჩვენი წარმატება, საშინაო ცხოვრებისა და საერთაშორისო ასპარეზზე მოპოვებულია გმირი მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, სახალხო ინტელიგენციის თავდადებული შრომის, კომუნისტური პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს და მისი მეთაურის სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მრავალმხრივი და ნაყოფიერი საქმიანობის შედეგად.

დღეს, საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესია მომდინარეობს რესპუბლიკის მშრომელთა, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხის, დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში, რაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებების, სსრ კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის დოკუმენტების მიღების შედეგია.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა პლენუმზე წარმოთქმულ სიტყვაში ჩვენი ქვეყნის ეკონომიური განვითარების და პარტიის საგარეო-პოლიტიკური მოღვაწეობის ღრმა, ყოველმხრივი მარქსისტულ-ლენინური ანალიზის საფუძველზე წამოაყენა და მკაფიოდ ჩამოაყალიბა კონკრეტული ამოცანები სოციალურ-კულტურული მშენებლობისა და ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების იმ ფართო პროგრამის განსახორციელებლად, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობამ შეიმუშავა.

ოქტომბრის პლენუმმა განსაზღვრა ახალი, უფრო მაღალი მიზნების მიღწევის უშუალო გზები და საშუალებები. მან პარტიელ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებს, ყველა მშრომელს დაუსახა მატერიალური წარმოების ეფექტიანობის განსაზღვრა ზრდის, სახალხო მეურნეობის ყველა რგოლში მუშაობის ხარისხის ამაღლების, მთელი არსებული რეზერვების მაქსიმალურად გამოყენების ამოცანების განხორციელების მიზნები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ახლანდელი სესია დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის მოვლენაა ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებაში. ჩვენ უნდა განვიხილოთ და დავამტკიცოთ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების სახელმწიფო ხუთწლიანი გეგმა, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების 1977 წლის სახელმწიფო გეგმა და სახელმწიფო ბიუჯეტი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, რომელიც ჯერ, სესიის წინ გაიმართა, მოიწონა ზემოაღნიშნული გეგმებისა და ბიუჯეტის წარმოდგენილი პროექტები, განსაზღვრა მათი შესრულების კონკრეტული და ყველაზე ეფექტიანი გზები, მუშაობის დიდმნიშვნელოვანი მიმართულებები და საკვანძო პრობლემები, რომლებსაც უნდა მოხმარდეს რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოების ძირითადი ძალღონე და ყურადღება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე რესპუბლიკის ხუთწლიანი გეგმისა და 1977 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის პროექტების განხილვის მსვლელობაში ჩამოყალიბდა ბევრი დებულება და პრობლემა, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკისა და კულტურული მშენებლობის შემდგომი განვითარებისათვის. მოხსენებაში და პლენუმის მონაწილეთა გამოსვლებში გამოითქვა კრიტიკული შენიშვნებიც ცალკეული სამინისტროებისა და უწყებების მიმართ.

აღიძრა აგრეთვე ეკონომიკის ყველა დარგის განვითარებისა და მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესების საქმეში ახალი მაღალი მიზნების მიღწევისათვის საჭირო წანამძღოლების შექმნის საკითხები, აღინიშნა საზოგადოებრივი წარმოების ინტენსიფიკაციის შემდგომი ზრდის არსებული რეზერვები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის ეფექტიანი გზები, მუშაობის დიდმნიშვნელოვანი მიმართულებები და საკვანძო პრობლემები, რომლებსაც უნდა მოხმარდეს რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოების ძირითადი ძალღონე და ყურადღება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე რესპუბლიკის ხუთწლიანი გეგმისა და 1977 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის პროექტების განხილვის მსვლელობაში ჩამოყალიბდა ბევრი დებულება და პრობლემა, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკისა და კულტურული მშენებლობის შემდგომი განვითარებისათვის. მოხსენებაში და პლენუმის მონაწილეთა გამოსვლებში გამოითქვა კრიტიკული შენიშვნებიც ცალკეული სამინისტროებისა და უწყებების მიმართ.

აღიძრა აგრეთვე ეკონომიკის ყველა დარგის განვითარებისა და მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესების საქმეში ახალი მაღალი მიზნების მიღწევისათვის საჭირო წანამძღოლების შექმნის საკითხები, აღინიშნა საზოგადოებრივი წარმოების ინტენსიფიკაციის შემდგომი ზრდის არსებული რეზერვები.

ეკონომიკის განვითარების შემუშავებული ძირითადი მიმართულებები განსაზღვრულია, ერთი მხრივ, საზოგადოებრივი განვითარების მომდინარე და პერსპექტიულ მოთხოვნილებათა გათვალისწინებით და, მეორე მხრივ, — სახალხო მეურნეობის ობიექტური ბალანსების შესაბამისად. ამასთან ახალ ხუთწლიან გეგმაში საგრძნობლად არის ამაღლებული სოციალური ფაქტორების როლი წარმოების განვითარებასა და მისი ეფექტიანობის გადიდებაში. მკვეთრად არის გამოხატული შრომითი რესურსების გამოყენებისა და კადრების მოზადების, ბუნებრივ სიმდიდრეთა გამოყენებისა და გარემოს დაცვისათვის ზრუნვის სოციალური მნიშვნელობა. გეგმების შემუშავება რეალური ბაზიდან და იმ აუცილებლობიდან გამომდინარეობს, რომ გაუმჯობესდეს არსებული საწარმოო სიმძლავრეებისა და ძირითადი ფონდების გამოყენების მაჩვენებლები, უფრო რაციონალურად იქნეს გამოყენებული მატერიალური რესურსები და გაიზარდოს კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობა.

გუშინ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ძირითადი მიმართულებები განიხილა სახალხო მეურნეობის განვითარების 1977 წლის გეგმა.

რადგან კვების მრეწველობის საერთო პროდუქციის მომავალი წლის გეგმა ყურძნის მოსავლიანობის გამო არ არის უზრუნველყოფილი საჭირო რესურსებით, პლენუმის მთავარი ყურადღება მიექცა არსებული რეზერვების მაქსიმალურ გამოყენებას, რომლებიც მოგვეპოვება მატერიალური წარმოების ყველა რგოლში. სამრეწველო თუ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში.

პლენუმმა რესპუბლიკის პარტორგანიზაციების, საბჭოთა, სამეურნეო ხელმძღვანელების, მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის, მეცნიერების წინაშე დააყენა გადაუდებელი ამოცანა, დღეიდანვე შეუდგნენ აღნიშნული რეზერვების ძიების, გამოვლენისა და დამატებითი ვალდებულებების სახით 1977 წლის გეგმის უცილობლად შესრულებას და გადაჭარბებას. გუშინდეგ ცენტრალური კომიტეტის წევრებმა კონკრეტული წინადადებები შემოიტანეს და განსაზღვრეს ზეგეგმითი პროდუქციის გამოშვების გზები.

ეს წინადადებები შემოვიდა, როგორც ცენტრალური კომიტეტის წევრების გამოსვლებით, ისე წერილობით.

დღეს აქ უნდა გაგრძელდეს გუშინდელი პლენუმის სულისკვეთება და შემართება, რადგან ამის განხორციელება ბევრად იქნება დამოკიდებული ჩვენი რესპუბლიკის ყველაზე ფართო ფენების წარმომადგენლების, ჩვენი დეპუტატების შემოქმედებითი შრომის შედეგებზე.

დღეს აქ ალბათ ყველა დეპუტატი ვერ გამოვა კამათში. ამიტომ არის საჭირო, რომ სესიის მონაწილეებმა, ეს მინისტრი იქნება თუ წარმოების მოწინავე, თავიისი წინადადება წერილობით წარადგინოს პრეზიდიუმის სახელზე.

ეს იქნება პირველი პასუხი გუშინდელი პლენუმის მოწოდებაზე, პასუხი ხუთწლიანი გეგმის პირველ კვირეულზე, თუ როგორი იქნება ხუთწლედის მეორე წელი.

ამხანაგო დეპუტატებო!

ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებები მიზნად ისახავს დაჩქარდეს ჩვენი ეკონომიკის, უპირატესად კი წარმოების იმ დარგების განვითარება, რომლებიც მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ბაზაზე უზრუნველყოფენ სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარებას. უმჯობესდება სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების დარგობრივი სტრუქტურა. გეგმის კონკრეტული დავალებები ითვალისწინებს და ასახავს ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედის თავისებურებებს.

საზოგადოებრივი წარმოების მატერიალური დარგების განვითარების დინამიზმი განაპირობებს წარმოებული ეროვნული შემოსავლის ზრდის სწრაფ ტემპს. მეათე ხუთწლედში იგი 33 პროცენტით უნდა გადიდდეს. ეროვნული შემოსავლის აბსოლუტური მატება 1,6 მილიარდ მანეთს შეადგენს, ნაცვლად მეცხრე ხუთწლედის 1,1 მილიარდი მანეთისა.

როგორც ხაზგასმულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის დოკუმენტებში, ერთ სულ მოსახლეზე საზოგადოებრივი პროდუქტის წარმოებისა და ეროვნული შემოსავლის მხრივ რესპუბლიკა ჩამორჩება სამეულო-საკავშირო დონეს. ამიტომ ეროვნული შემოსავლის დაჩქარებული ზრდის უზრუნველსაყოფად დასახულია შედარებით მაღალი ტემპი, რაც აღემატება შესაბამის საერთო-საკავშირო მაჩვენებელს. ეს სავსებით კანონზომიერია.

საზოგადოებრივი წარმოების აღმავლობის ასეთი ტემპის მისაღწევად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება წარმოების ეფექტიანობის გადიდებას, მისი ზრდისა და სრულყოფის ჯერ კიდევ გამოუყენებელი რეზერვების უფრო სრული მოქცევას სამეურნეო ბრუნვაში. ეს რეზერვები კი მნიშვნელოვანია. ცენტრალური კომიტეტის გუშინდელ პლენუმზე ღრმად იყო გაანალიზებული ამ საკითხის მნიშვნელობა და გადაუდებლობა. ამასთან დაკავშირებით ჩვენი მრეწველობის განვითარების ახლანდელ ეტაპზე განსაკუთრებული როლი ენიჭება შრომატევად პროცესთა მექანიზაციის დონეს, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა ფართოდ დანერგვას წარმოებაში, თანაფარდობის გაუმჯობესებას. ძირითად და დამხმარე სამუშაოთა შორის, ტექნოლოგიის შემდგომ სრულყოფას.

სოფლის მეურნეობაში უპირველეს ამოცანად უნდა ჩაითვალოს კომპლექსური მექანიზაციის, აგრეთვე ფართო კონცენტრაციისა და ღრმა სპეციალიზაციის დანერგვა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა სფეროში.

ყველა ეს ღონისძიება მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ფონდადაჭერვის ზრდას, მთლიანად მიმდინარე ხუთწლედში დაგეგმილია ფონდადაჭერვა გადიდეს 29,2 პროცენტით, აქედან მრეწველობაში — 29,7 პროცენტი, სოფლის მეურნეობაში — 69,1 პროცენტით.

ამავე დროს ბევრ დარგში გათვალისწინებულია ფონდუკუგების გადიდება. მაგალითად, შავ მეტალურგიაში — 6 პროცენტით, ფერად მეტალურგიაში — 32 პროცენტით, ქიმიურ მრეწველობაში — 15,9 პროცენტით. ხორცისა და რძის მრეწველობაში — 10,6 პროცენტით, მსუბუქ მრეწველობაში — 2,2 პროცენტით, კვების მრეწველობაში — მხოლოდ 1 პროცენტით, გეგმაში ფონდუკუგების მაჩვენებლების ასეთი დიფერენციაცია იმით აიხსნება, რომ ზოგიერთ დარგში ახალი საწარმოო სიმძლავრეების სრული დატვირთვით ამოქმედება ნაგარაუდევია ხუთწლედის უკანასკნელ წლებში (კვებისა და მსუბუქი მრეწველობა).

სოფლის მეურნეობაში ფონდუკუგება დაპროექტებულია ერთგვარი შემცირებით, ვინაიდან საწარმოო შენგებობის ბევრი ობიექტის, განსაკუთრებით კი წყალსამეურნეო ობიექტების, სიცოცხლისუნარიანობა ამოქმედებისა და სხვა ღონისძიებათა ეფექტი პროდუქციის გადიდებას უზრუნველყოფს მეათე ხუთწლედის შემდეგ.

საწარმოო ფონდებისა და სიმძლავრეების უკეთ გამოყენებასთან ერთად ხუთწლეულში გათვალისწინებულია მასალატევადობის შემცირება მრეწველობაში 2,2 პროცენტით. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება მატერიალური რესურსების უფრო ეფექტიანად გამოყენებას და მეორეული მასალებისა და სამბობენერგეტიკული რესურსების მოქცევას სამეურნეო ბრუნვაში.

სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმა ითვალისწინებს 200-ზე მეტი ღონისძიების განხორციელებას ახალ სახეობათა პროდუქციის ათვისებისა და ახალ ტექნოლოგიურ პროცესთა დანერგვისათვის, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს ისეთ ნაკეთობათა წარმოებას, რომლებიც შეესაბამება სტანდარტების გადიდებულ მოთხოვნებს.

საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერება მთლიანად რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში 32 პროცენტით გაიზრდება. მრეწველობაში მისი ზრდა — 33 პროცენტს შეადგენს, სოფლის მეურნეობის საზოგადოებრივ სექტორში კი — 40 პროცენტს. შრომის ნაყოფიერების ზრდა ბიზნესთან დაზოგავს ნახევარი მილიონი კაცის შრომას.

ახალ ხუთწლედში საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების ზრდის ხარჯზე მიღებული იქნება ეროვნული შემოსავლის საერთო მატების უდიდესი ნაწილი — 85 პროცენტი.

ძირითადი საწარმოო ფონდების საშუალო-წლიური ღირებულების ერთ მანეთზე ეროვნული შემოსავლის წარმოება გაიზრდება 1,6 პროცენტით, აქედან მრეწველობაში — 7,6 პროცენტით.

ხუთწლიანი გეგმის პროექტით გათვალისწინებულია ხალხის მატერიალური და კულტურული ცხოვრების დონის ამაღლების ფართო პროგრამა. საგრძნობლად გადიდდება მშრომელთა რეალური შემოსავალი. განხორციელდება აგრეთვე ღონისძიებანი მისი უფრო ეფექტიანი გამოყენებისათვის შრომის ანაზღაურებისა და საპრემიო სისტემის ფორმების შემდგომი სრულყოფის, სტარიფიფ განაკვეთების გადიდების გზით.

გამოყენებულ ეროვნულ შემოსავალში მოხმარების ფონდი 1980 წელს 1975 წელთან შედარებით თითქმის 30 პროცენტით გაიზრდება. ამასთან მისი ხვედრითი წონა შეადგენს 76,2 პროცენტს, ხოლო აბსოლუტური მოცულობა 1980 წელს 1 მილიარდი მანეთით და მატად გადააჭარბებს 1975 წლის დონეს, გათვალისწინებულია ანალოგიურად გაიზარდოს ერთ სულ მოსახლეზე მოხმარების ფონდებიც, რაც ხუთწლეულში შეადგენს 23 პროცენტს.

1976-1980 წლებში გამოყენებული ეროვნული შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით დასახულია გადიდდეს 20,8 პროცენტით. ამრიგად, იგი შეადგენს 1.340 მანეთს, ერთ სულ მოსახლეზე მოხმარების ფონდი მომდინარე ხუთწლეულის დამლევს მიაღწევს 1.025 მანეთს, ე. ი. გადიდდება 22,9 პროცენტით, 1976-1980 წლებში რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე გაიზრდება 21,9 პროცენტით და გადაამეტებს 975 მანეთს.

მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური და პროფესიული ჯგუფის ცხოვრების მატერიალური პირობების გათანაბრებას ხელს შეუწყობს აგრეთვე 1976-1980 წლებში მინიმალური ხელფასის მომატებისათვის, საშუალო ხელფასთან მუშაკთა განაკვეთებისა და სარგოების გაიდიდებისათვის დასახული ღონისძიებები. ამასთან უშუალოდაა დაკავშირებული არასაწარმოო სფეროს მუშაკთა დიდი ნაწილის შემოსავლის გადიდება.

ამხანაგო დეპუტატებო!

სკკპ XXV ყრილობის, პარტიის ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის მიერ ჩვენს წინაშე დასახული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამის წარმატებით განხორციელების საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სამრეწველო წარმოების შემდგომ განვითარებას. ახალი ხუთწლიანი გეგმის შედგენის პროცესში რეზერვების ფაზუტებისა და დამატებითი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გამოვლენის შედეგად შესაძლებელი გახდა სამრეწველო წარმოების ზრდის უფრო მაღალი ტემპის მიღწევა.

დასახული მიზნები და ამოცანები სავსებით შეესაბამება სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ივნისის დადგენილებას საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 11 იანვრის № 35 დადგენილებას საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მესამე პლენუმის გადაწყვეტილებებს.

მეათე ხუთწლედში გათვალისწინებულია სამრეწველო წარმოების ზრდა 41 პროცენტით. ამასთან მისი მოცულობა 1980 წელს მიაღწევს 8,9 მილიარდ მანეთს, რაც უზრუნველყოფს აბსოლუტურ მატებას 2,6 მილიარდი მანეთის ოდენობით. უნდა აღინიშნოს, რომ გასული ხუთწლედში 40,1 პროცენტით ზრდისას აბსოლუტურმა მატებამ 1,8 მილიარდი მანეთი შეადგინა.

საგულისხმოა, რომ სამრეწველო წარმოების მთელი მატების 77 პროცენტი ზემოაღნიშნულის შედეგად იქნება მიღწეული. საერთო პროდუქციის ზრდა 1980 წელს, 1975 წელთან შედარებით 1,9 მილიარდ მანეთს, შეადგენს. მაშინ როცა მეცხრე ხუთწლედში სამრეწველო წარმოების ზრდის 53 პროცენტი რეკონსტრუქციისა და ტექნიკური განახლების გზით იქნა უზრუნველყოფილი, ხოლო ნამატმა მხოლოდ 1 მილიარდი მანეთი შეადგინა.

მრეწველობის დარგობრივ სტრუქტურაში მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების ხვედრითი წილი 1975 წლის 12,9 პროცენტიდან 1980 წელს 14,6 პროცენტამდე გაიზრდება.

მეათე ხუთწლედში განსაკუთრებული ზრუნვის საგანია რესპუბლიკის ენერგეტიკული ბაზის გეგმაზომიერი გაფართოება ჰიდროენერგორესურსების უპირატესი გამოყენების საფუძველზე.

გათვალისწინებულია ელექტროენერგიის გამომუშავება გადიდდეს 58 პროცენტით, ნაცვლად გასული ხუთწლედის 29 პროცენტისა. 1977 წელს უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ენგურჰესის პირველი რიგის გადაკეთება საექსპლოატაციოდ, სადაც ენერგიის წლიური გამოშვება 5,5 მილიარდ კილოვატსაათს შეადგენს. ხუთწლედის განმავლობაში ამოქმედდება ჭინვალის ჰიდროკვანძი, ვარციხის კასკადის 4 ელექტროსადგური. გათვალისწინებულია ხუთწლედის ბოლო წლებში დაიწყოს მდინარე ენგურზე 550 ათასი კილოვატი სიმძლავრის ხუდონის ჰიდროელექტროსადგურისა და მდინარე რიონზე 730 ათასი კილოვატი სიმძლავრის ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურის შენებლობა. ელექტროენერგიის წარმოება ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით 1980 წელს 3.400 კილოვატსაათს მიაღწევს, რაც 45 პროცენტით აღემატება 1975 წლის შესაბამის მაჩვენებელს, ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ჰიდროელექტროსადგურებში გამომუშავებული ელექტროენერგიის უპირატესი ზრდა მნიშვნელოვნად შეამცირებს მის თვითღირებულებას.

რესპუბლიკის ენერგეტიკული ბაზის განვითარების უზრუნველსაყოფად გათვალისწინებულია 515 მილიონი მანეთის კაპიტალური დაბანდებანი, ნაცვლად მეცხრე ხუთწლედის 385 მილიონი მანეთისა, რაც 33,5 პროცენტით ზრდას ნიშნავს, ამასთან მომდინარე ხუთწლედში ამოქმედდება 1,7 მილიონი კილოვატი ენერგეტიკული სიმძლავრეები, ნაცვლად გასული ხუთწლედის 660 ათასი კილოვატისა ანუ 2,5-ჯერ მეტი.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ 1976-1980 წლებში საქართველოს ენერგოსისტემა დაკავშირდება ფილების რესპუბლიკის მოთხოვნილებას ელექტროენერგიაზე და აგრეთვე შეძლებს გაზიფიცირებულ ზაფხულის წყალუხვობის პერიოდში მიაწოდოს იგი ქვეყნის მეზობელ რაიონებს.

მეათე ხუთწლედში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საქმიან-ენერგეტიკული ბალანსის სტრუქტურის რაციონალიზაციას. ბალანსში ადგილობრივი რესურსების, სახელდობრ ნავთობის ხვედრითი წონის ამაღლებას.

ამჟამად ნავთობის სადღეღამისო მოპოვებამ 3.600 ტონას მიაღწია, ხოლო საერთო დონე 1976 წელს 850 ათას ტონას გადააჭარბებს. 1980 წელს ნავარაუდევია ნავთობის მოპოვება გადიდდეს 3 მილიონ ტონამდე, ხოლო მიდინარე ხუთწლედში მისი საერთო მოპოვების დონე შეადგენს დაახლოებით 9-10 მილიონ ტონას.

აქ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ნავთობის მოპოვების დროს გარემოს დაცვის თანამედროვე მოთხოვნის შესრულებას.

მეათე ხუთწლედში ქვანახშირის მრეწველობის პროდუქცია 5,7 პროცენტით იზრდება. ამასთანავე საგულისხმოა, რომ ხუთწლედის პირველ სამ წელიწადში ზრდა არ არის გათვალისწინებული და წარმოების დონე უცვლელი რჩება.

შექმნილი ვითარება ძირითადად გამოწვეულია ტყვარჩილში მოქმედი სიმძლავრეების შემცირების საკომპენსაციოდ ტყიბულსა და ტყვარჩილში ახალი შახტებისა და პორიზონტების საექსპლოატაციოდ გადაცემის გადადებით.

რესპუბლიკაში საკმაოდ ფართო პრისპექტივებია დასახული შავი მეტალურგიის განვითარების დარგში. პროდუქციის წარმოების მატება ნავარაუდევია განხორციელდეს 19,6 პროცენტით, ამასთან თუჯის გამოდნობა გაიზრდება 27 პროცენტით და მეტად, ფოლადისა—14 პროცენტით, ნაგლინის წარმოება — 9.4 პროცენტით, მანგანუმის სასაქონლო მადნის გამოშვება — 5,7 პროცენტით, ხოლო ფეროშენადნობებისა ლითონურ მანგანუმზე გადაანგარიშებით — 59 პროცენტით.

გათვალისწინებულია რუსთავის მეტალურგიული ქარხნის განვითარება. მთლიანი პროდუქციის მოცულობა გადიდდება 14,7 პროცენტით, აღმოიფხვრება ცალკეული ძირითად და დამხმარე საამქროებში არსებული დისპროპორციები. დაგეგმილია დამთავრდეს წელიწადში 2,2 მილიონი ტონა სიმძლავრის საგალმერაციო ფაბრიკის მშენებლობა, საექსპლოატაციოდ გადაეცეს ჟანგბადის სადგური, განხორციელდეს № 2 ბრძმედის ფურცელსაგლინავი და მარტენის საამქროების რეკონსტრუქცია.

აღსანიშნავია, რომ რუსთავის მეტალურგიული ქარხნის პროდუქციის საერთო მოცულობის 35-40 პროცენტი ხუთწლედის დამლევს გამოშვებული იქნება ხარისხის ნიშნით.

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში მთლიანად დამთავრდება არსებული სდნობ საამქროებში სიმძლავრეთა გადიდების სამუშაოები. გათვალისწინებულია დამთავრდეს წელიწადში 420 ათასი ტონა მანგანუმის აგლომერატის სიმძლავრის საგალმერაციო ფაბრიკის საექსპლოატაციოდ გადაცემა, 75 ათასი კილოოლტამპერი სიმძლავრის ორი ახალი დახურული ღუმელის ამოქმედება, რაც დამატებით უზრუნველყოფს 200 ათასი ტონა ნახშირბადოვანი ფერომანგანუმის გამოდნობას. ამ ღონისძიებათა მეოხებით 1980 წელს ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში სამრეწველო წარმოება გადიდდება 44 პროცენტით და მისი პროდუქციის მოცულობა მიაღწევს 483 ათას ტონას, ნაცვლად 1975 წლის 300 ათასი ტონისა.

მანგანუმის მადნის წარმოება ჭიათურის მანგანუმის სამთამადნო კომბინატში 1980 წელს ნავარაუდევია 1,9 მილიონი ტონის ოდენობით. დასახულია 1,3 მილიონ ტონა მადნის მოპოვების ახალ სიმძლავრეთა ამოქმედება მწყობრიდან გამოსული სიმძლავრეების შესავსებად.

უნდა აღინიშნოს, რომ ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში სიმძლავრეთა არსებითი გადიდების მიუხედავად, მიმდინარე ხუთწლედში მაინც ვერ წყდება დაბალი ხარისხის მანგანუმის კონცენტრატების მთლიანად გამოყენების საკითხი. ამასთან დაკავშირებით საჭიროა დაჩქარდეს მანგანუმის მწირი მადნების განსაკუთრებით კარბონატული მადნების, გადამუშავების საკითხის გადაწყვეტა და საბოლოო რეკომენდაციების შემუშავება, აგრეთვე ზესტაფონის ქარხნის განვითარების მეორე ეტაპის განხორციელება მაღალხარისხოვან ფეროშენადნობთა გამოშვების გადიდების მიზნით.

აღსანიშნავია, რომ შავი მეტალურგიის დარგში, წინასწარი მონაცემებით, დასახულია რუსპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოებს გამოიყოთ სახელმწიფო ავტომატური დაბანდებანი 198 მილიონი მანეთის ოდენობით, რომლის 49 პროცენტი ხოზრდება მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქციას, 26 პროცენტი — მათ ტექნიკურ განახლებას, ხოლო 25 პროცენტი — გაფართოებას.

ხუთწლიანი გეგმის პროექტი ითვალისწინებს ფერადი ლითონურგიის საწარმოთა მიერ გამოშვებული სამრეწველო პროდუქციის ზრდას 1975 წლის დონესთან შედარებით 88,2 პროცენტით. აღნიშნული ზრდა ნავარაუდევია მიღწეულ იქნეს მეცხრე ხუთწლედის ბოლოს მადნეულის სამთო-გამამდიდრებელ კომბინატში ამოქმედებული სიმძლავრეების სრული გამოყენებით, აგრეთვე მომდინარე ხუთწლედში 380 ათასი ტონა ბარიტ-პოლიმეტალური მადნის მოპოვებისა და მისი 140 ათასი ტონის ოდენობით გადამუშავების ხარჯზე.

მადნეულის სამთო-გამამდიდრებელ კომბინატში სამრეწველო წარმოების მოცულობა ხუთწლედში თითქმის ერთიორად გაიზრდება. უნდა გავითვალისწინოთ, რომ გადასახსნელ სამუშაოთა სისტემატური შეუსრულებლობის, აგრეთვე მთელი რიგი სხვა ორგანიზაციულ-ტექნიკური ხარვეზების გამო კომბინატში ძალზე არასახარბიელო პირობები შეიქმნა საგემო დავალებათა შესრულებისა და ზრდის დასახული ტემპების მიღწევის უზრუნველყოფის მხრივ. კომბინატის კოლექტივმა რაც შეიძლება ენერგიული და გადამჭრელი ზომები უნდა მიიღოს ჩამორჩენის ლიკვიდაციისა და საწარმოო გეგმების სტაბილური შესრულების მიზნით. ამასთანავე საჭიროა დაიეზჩაროთ კომბინატს მის წინაშე მდგომი დიდი ამოცანების გადაჭრაში.

სახალხო-სამეურნეო გეგმით გათვალისწინებულია რესპუბლიკის ფერადი მეტალურგიის სხვა საწარმოების შემდგომი განვითარებაც.

ახალ ხუთწლედში დასახულია ქიმიური მრეწველობის საწარმოთა ინტენსიური განვითარება. ზრდის ტემპი მთლიანად ხუთწლედის მანძილზე ამ საწარმოთა ჯგუფში შეადგენს 167 პროცენტს. მთლიანად რუსთავის ქიმიურ ქარხანაში მინერალური სასუქების გამოშვება 1975 წლის 688 ათასი ტონიდან 1980 წელს გაიზრდება 1.110 ათას ტონამდე, ანუ 61 პროცენტით.

დასახულია აგრეთვე კაპროლაქტამის წარმოების გადიდება 24 ათასი ტონიდან 50 ათას ტონამდე, ნავარაუდევია შეიქმნას 25 ათასი ტონა მანგანუმის ელექტროლიზური ორიგინალ წარმოების სიმძლავრეები. რუსთავის ქიმიური ქარხნის სიმძლავრეთა დასახული ზრდა-განვითარება უზრუნველყოფილ იქნება საწარმოს გაფართოებისა და რეკონსტრუქციის ღონისძიებათა კომპლექსის განხორციელებით, რისთვისაც მომდინარე ხუთწლედში გათვალისწინებულია 179 მილიონი მანეთის კაპიტალური დაბანდებანი. ეს კი სერიოზულ ამოცანებს უსახავს სამშენებლო ორგანიზაციებს.

ამასთან დაკავშირებით რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება ქიმიური ქარხნის ობიექტების მშენებლობის განმსორციელებლად სამშენებლო ტრესტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების შესახებ. ეს გადაწყვეტილება ითვალისწინებს ქალაქ რუსთავში განლაგებულ სხვა საწარმოებში დიდძალ კაპიტალურ დაბანდებათა ათვისების აუცილებლობასაც.

დასახულია ამ დარგის სხვა საწარმოების — ჭიათურის ლითოფონის ქარხნის, „საქყოფქიმიის“, „საქპოლიმერტარის“ და „საქსამთოქიმმრეწის“ საწარმოთა გაერთიანებათა შემდგომი განვითარება.

სულ ქიმიური მრეწველობის სამინისტროს საწარმოებში გათვალისწინებულია საწარმოო დანიშნულების კაპიტალური დაბანდებანი 273 მილიონი მანეთის ოდენობით. აქედან მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქცია-გაფართოებას მოხმარდება მათი 98 პროცენტი.

მრეწველობის თითქმის ყველა დარგის წარმატებით განვითარება უშუალოდ არის დამოკიდებული სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა გამოკვლევისა და ჩვენი წიაღის სიმდიდრეთა სწორად გამოყენების მიზნით გეოლოგიურ-საზვერა სამუშაოთა წარმოების ეფექტიანობაზე. ქართველელმა გეოლოგებმა გასულ ხუთწლედში ამ მიმართულებით ეფექტიანი მუშაობა გასწიეს.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ფერადი ლითონების ძიების დარგში გაწეული დიდი დანახარჯების მიუხედავად, მუშაობა ამ მიმართულებით ერთობ ნაკლებეფექტ-

(გაგრძელება მე-3 გვ.).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესია

დეპუტატ ზ. ა. პატარიძის მოხსენების გაგრძელება

ტიანი იყო და ფაქტიურად არცერთი საბადო არ გამოვლინებულა.

მომდინარე ხუთწლედში ჩვენი ველოსოფეტების წინაშე დასახულია მეტად მნიშვნელოვანი ამოცანები. საჭიროა სამრეწველო შეფასება მიეცეს ყვირილის დეპრესიის მანგანუმის საბადოს, გაძლიერდეს მუშაობა ფერადი ლითონების საბადოთა საძიებლად ბოლნისის მადნიან რაიონში, კახეთის მთის რაიონებში და აფხაზეთში, მაღნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის ნედლეულის ბაზით უზრუნველყოფისა და ფერადი მეტალურგიის შემდგომი განვითარების მიზნით, შესრულდეს დიდი მოცულობის საბურღი სამუშაოები თერმული წყლების საბადოთა გამოსავლინებლად, სამეურნეო-სასმელი წყლით მომარაგების, მცირე მელიორაციის დარგში და სხვა სამუშაოები.

განვითარების მნიშვნელოვანი ტემპია გათვალისწინებული მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების ხაზით. მანქანათმშენებლობის პროდუქცია, როგორც ნათქვამი იყო, ხუთწლედში მთლიანად გადიდდება 61 პროცენტით, ამასთან უპირატესი ზრდა გათვალისწინებულია ხელსაწყოთმშენებლობაში — 71 პროცენტით, ელექტროტექნიკაში—66 პროცენტით, ჩარხმშენებლობაში 52 პროცენტით, მსუბუქი და კვების მრეწველობის მანქანათმშენებლობაში — 53 პროცენტით, ამ დარგის საწარმოებში საშუალო-წლიური ზრდის ტემპი შეადგენს 10,5 პროცენტს. მთლიანი პროდუქციის გამოშვება გადიდდება დაახლოებით 400 მილიონი მანეთით. სამრეწველო პროდუქციის მოცულობის ესოდენ საგრძნობი მატების უზრუნველსაყოფად დასახულია შესაბამის ღონისძიებათა განხორციელება ახალი სიმძლავრეების შექმნის, აგრეთვე მოქმედ საწარმოთა გაფართოებისა და გაფართოებისათვის.

სულ კაპიტალური დაბანდებები მანქანათმშენებლობაში ხუთწლედის მანძილზე 40 პროცენტით გაიზრდება და 320 მილიონ მანეთს მიაღწევს.

რეკონსტრუქციისა და სიმძლავრეთა გაფართოების მნიშვნელოვანი სამუშაოებია დაგეგმილი ქუთაისის ორკონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანაში, თბილისის ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელ, ბათუმის გემთსაშენებელ და ელექტროტექნიკურ ქარხნებში. დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდება სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის გაფართოებისა და სრულყოფისათვის, იმ პროდუქციის შექმნისა და სრეული წარმოების ათვისებისათვის, რომლის დანერგვაც რესპუბლიკის სოფლის მეურნეობას საჭიროებს მეტად საჭიროტო საკითხებს გადაუწყვეტს მექანიზაციის თვალსაზრისით.

უნდა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკის ტრიტორიაზე განლაგებულ მანქანათმშენებლობის საწარმოებს გააჩნიათ მნიშვნელოვანი რეზერვები, რათა გაადიდონ წარმოების ეფექტიანობა სიმძლავრეთა მაქსიმალური გამოყენების, შუმობის ცვლიანობის კოეფიციენტის გადიდებისა და მოწყობილობის გამოყენების გაუმჯობესების გზით.

მეათე ხუთწლედში ხე-ტყის, ხის დამუშავებელი და ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობის პროდუქციის ზრდა 1975 წლის დონესთან შედარებით განსაზღვრულია 130 პროცენტით. მნიშვნელოვნად გადიდდება ისეთი ახალი პროგრესული მასალების გამოყენება, როგორიცაა სინთეზური პანრი, ლითონის კარკასები, პოლიმერული მასალები, როგორც ზედაპირების მოსაპირკეთებლად, ისევე ავეჯის საფარის დასამზადებლად. აღნიშნული მასალების გამოყენება მნიშვნელოვნად შეამცირებს დეფიციტური ნედლის მერქნის ხარჯვას.

რესპუბლიკაში კაპიტალური მშენებლობის დაბალ ეფექტიანობას, დაუმთავრებელი მშენებლობის მოცულობის ზრდას, სამრეწველო მშენებლობის დაბალ ხარისხს, მშენებლობაში პროგრესულ საპროექტო გადაწყვეტილებათა, ახალი კონსტრუქციებისა და ეფექტიანი ტიპობრივი პროექტების. დანერგვის შეფერხებას მნიშვნელოვნად გააპირობებს სამშენებლო ინდუსტრიისა და საშენ მასალათა წარმოების არადამაკმაყოფილებელი დონე. ყველა პირობაა იმისათვის, რომ მდგომარეობა ამ მხრივ მომდინარე ხუთწლედში გამოსწორდეს.

საშენ მასალათა მრეწველობის ხაზით გათვალისწინებულია პროდუქციის გამოშვების ზრდა მთლიანად 42 პროცენტით, ასაწყობი რკინა-ბეტონის კონსტრუქციებისა და დეტალებისა, არაორებული ნაკეთობების ჩათვლით — 59 პროცენტით. საკედლე მასალების წარმოება 667 მილიონი ცალი პირობითი აგურიდან გაიზრდება 875 მილიონ ცალამდე, ანუ 31 პროცენტით, არამადნეული მასალებისა — 29 პროცენტით.

მთლიანად ხუთწლედში საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს საწარმოო ბაზის განვითარებისათვის განკუთვნილ კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა შეადგენს 55 მილიონ მანეთს. ამ დარგის საწარმოო ბაზის განვითარებისათვის დაიხარჯება აგრეთვე მნიშვნელოვანი სახსრები შესაბამისი დარგებიდან რესპუბლიკისათვის გამოყოფილ საერთო კაპიტალურ დაბანდებათა 0,5-პროცენტიანი ანარიცხების სახით.

ამხანაგო დეპუტატებო!

სამრეწველო პროდუქციის წარმოებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვებას. პარტიის XXV ყრილობის მითითება, რომ უფრო სრულად დავაკმაყოფილოთ მოსახლეობის მოთხოვნილებანი მაღალი ხარისხისა და სხვადასხვა ასორტიმენტის საქონელზე, თვისებრივად ახალ ამოცანებს სახავს მრეწველობის მუშაკთა წინაშე. მთლიანად „ბ" ჯგუფის მრეწველობის პროდუქციის გამოშვება ხუთწლედში იზრდება 38,6 პროცენტით. გადიდებული დავალებანი აქვთ დაწესებული არა მარტო მსუბუქი მრეწველობის, ხე-ტყის მრეწველობის, ადგილობრივი მრეწველობის, საშენ მასალათა მრეწველობისა და სხვა საშინისტროთა საწარმოებს, არამედ საკავშირო დაქვემდებარების ობიექტებსაც, რომელთაგან ზოგიერთი უკვე შეუდგა სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვებას, ნაწილი კი იწყებს მისი წარმოების ათვისებას.

კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამეურნეო დანიშნულების საქონლის გამოშვება მთლიანად რესპუბლიკაში გათვალისწინებული ობიექტების მშენებლობას ხელს შეუშლიდა. ამ თანხიდან საწარმოო დანიშნულების ობიექტების მშენებლობას მოხმარდება 118 მილიონი მანეთი. ეს სახსრები პირველ რიგში დაიხარჯება დარგის ძალზე ჩამორჩენილი ტექნიკური ბაზის ძირეული გაუმჯობესებლის ღონისძიებათა განსახორციელებლად.

მომდინარე ხუთწლედში გათვალისწინებულია აშენდეს სამკერვალო საგრიკოტაჟო ფაბრიკა ქ. თბილისში, ტრიკოტაჟის საცვლებისა — ქ. ცხინვალში და ბამბის სართავი ფაბრიკა — საჩხერეში. დაგეგმილია დამთავრდეს თბილისის მაუდ-კამეოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს" ხელახალი ტექნიკური აღჭურვა. ამავე პერიოდში განხორციელდება თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანებისა და ქუთაისის მაუდის ფაბრიკის რეკონსტრუქციისა და ტექნიკური განახლების სამუშაოები. გარდა ამისა, შეიცვლება ვორის ამბეულის კომბინატის მოძველებული დანადგარები.

რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ უნდა განახორციელოს დამატებითი ღონისძიებები მოქმედ საწარმოთა არსებული რეზერვების გამოსავლენლად და სამეურნეო ბრუნვაში მოსაქცევად. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ტექნოლოგიური მოწყობილობის უფრო სრულად დატვირთვას, მახეანა-დანადგარების მწარმოებლობის ამაღლებას, მოცდენების ლიკვიდაციის და ამის საფუძველზე საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენების მნიშვნელოვნად გაუმჯობესებას.

ჩვენი რესპუბლიკის მატრფილებელი დარგის — კვების მრეწველობის შემდგომი განვითარება რესპუბლიკის ინდუსტრიული პოტენციალის ზრდის პროგრამის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია.

კვების მრეწველობის პროდუქციის მოცულობა მთლიანად დარგში 36,3 პროცენტით იზრდება, მათ შორის კვების მრეწველობის სამინისტროს ხაზით—36 პროცენტით, ხოლო ხორცისა და რძის მრეწველობის დარგში — 41,2 პროცენტით. კვების მრეწველობის დარგების საერთო პროდუქციის მოცულობა 1980 წელს 3 მილიარდ მანეთს გადააჭარბებს, აქედან კვების მრეწველობის სამინისტროს საწარმოებისა — 2,7 მილიარდ მანეთს მიაღწევს. ხუთი წლის განმავლობაში 700 მილიონი მანეთით ზრდა ამ დარგის მეტად ინტენსიურ განვითარებას გულისხმობს.

კვების მრეწველობის მიერ სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის დროულად გადამუშავების, წარმოების სწრაფი ტემპის უზრუნველყოფისა და ბევრ ქვედარგში არსებულ საწარმოო სიმძლავრეებსა და გადასამუშავებლად შემოსულ ნედლეულს შორის დისპროპორციების აღმოსაფხვრელად სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესაბამისად დასახულია მნიშვნელოვანი ღონისძიებები ახალ საწარმოთა მშენებლობის, აგრეთვე მოქმედ საწარმოთა გაფართოებისა და რეკონსტრუქციის განსახორციელებლად.

ხუთწლეულში ჩაის ფოთლის გადამუშავების სიმძლავრეები გაიზრდება წელიწადში 68 ათასი ტონით, პირველადი მეღვინეობის ქარხნებისა — სეზონში 290 ათასი ტონით, საკონსერვო ქარხნებისა — წელიწადში 210 მილიონი პირობითი ქილის გამოშვებით.

გათვალისწინებულია თვისებრივი ძვრები პროდუქციის ასორტიმენტის გასაფართოებლად და ხარისხის გასაუმჯობესებლად. უმიღლესი კატეგორიის პროდუქციის წარმოება 1980 წელს 1975 წელთან შედარებით თითქმის 5-ჯერ გაიზრდება, მათ შორის შავი ბიიხო ჩაისა — 2,8-ჯერ, ყურძნის ღვინისა — 12-ჯერ, შამპანურისა — 14-ჯერ, ფქვილის საკონდიტრო ნაწარმისა — 6-ჯერ. შესაძლებლობიდან გამომდინარე, რესპუბლიკის კვების მრეწველობის პროდუქცია უკეთესი ხარისხისა უნდა იყოს. კვების მრეწველობის სამინისტროს მუშაკების მთავარი ყურადღება მომდინარე ხუთწლედში ძირითადად ამ საკითხებზე უნდა გამახვილდეს.

ყურძნის ღვინის წარმოება დასახულია გადიდდეს 49 პროცენტით. სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითად მიმართულებებში ხაზგასმულია, რომ რესპუბლიკაში მკვეთრად უნდა გაიზარდოს ხარისხოვანი ღვინოების წარმოება. მან უნდა მიაღწიოს 4,3-5 მილიონ დეკალიტრს, ნაცვლად ამჟამინდელი 1 მილიონი დეკალიტრისა. ამ მიზნით გათვალისწინებულია სპეციალიზებული ქარხნის მშენებლობა და არსებული ქარხნების გაფართოება-რეკონსტრუქცია. მშრალი სამარკო და ნატურალური მოტკბო ღვინოების წარმოებისათვის დასახული ღონისძიებები შეესაბამება საქართველოს მეღვინეობის სპეციალიზაციის პროფილს.

ხუთწლედში საწარმოო დანიშნულების კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა ამ მეწველობის სამინისტროს სისტემაში დაგეგმილია 257 მილიონი მანეთის ოდენობით, რაც 72 მილიონი მანეთით აღემატება გასული ხუთწლედის კაპიტალურ დაბანდებებს. გარდა ამისა, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკს ნება დაერთო 1977-1980 წლებში მისცეს საქართველოს სსრ ღვინის მრეწველობის საწარმოებს კრედიტი სამარკო ღვინოების წარმოების სიმძლავრეთა გადიდების სამუშაოების განსახორციელებლად.

მთლიანად კვების მრეწველობის სამინისტრომ მომდინარე ხუთწლედში უნდა აითვისოს ერთობ მნიშვნელოვანი კაპიტალური დაბანდებები და უზრუნველყოს დარგის ბანდების ამაღლებისათვის. საჭიროა ენერგოდაზოგვა ეს ძალიან ძვირადღირებული ბენზინ-ბენზოლის ნაცვლად ეფექტიანობის ამაღლებისათვის. საჭიროა ენერგეტიკული ბაზის ამაღლებისა. ეს ეფექტიანობა ეფექტიანობა ეფექტიანობა

დეპუტატ ზ. ა. პატარიძის მოხსენების დასასრული

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუდმივი ზრუნვის საგანია. ასევე უნდა გახდეს იგი თვითეული სამინისტროს, უწყების, სამეურნეო ხელმძღვანელის ყოველდღიური ყურადღების საგანი.

ამხანაგო დეპუტატებო!

ხუთწლიანი გეგმის პროექტი სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების განსახორციელებლად კაპიტალური დაბანდებების გარდა ითვალისწინებს 274,4 მილიონ მანეთს, ნაცვლად მეცხრე ხუთწლედში გამოყოფილი 229,9 მილიონი მანეთისა. ეს ნათელი დადასტურებაა იმისა, თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ პარტია და მთავრობა მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების საკითხებს.

როგორც გუშინ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე აღინიშნა, ჩვენი რესპუბლიკის მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალი ჯერ კიდევ საკმაოდ ეფექტიანად არ არის გამოყენებული. ინსტიტუტების სამუშაო გეგმებში არცთუ იშვიათად ვხვდებით ნაკლებად აქტუალურ თემებს, გაუმართლებელ პარალელიზმს. სამინისტროები და უწყებები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ მეცნიერებისა და წარმოების დაკავშირების ისეთი პროგრესული ფორმების შექმნას, როგორიცაა სამეცნიერო-საწარმოო და აგრო-საწარმოო გაერთიანებების, მეცნიერებისა და წარმოების სპეციალისტთა ერთობლივი კვლევითი ჯგუფების შექმნა რომელიმე დიდი კონკრეტული პრობლემის გადასაწყვეტად.

XXV ყრილობის შემდეგ ჩვენს ქვეყანაში შემუშავდა და ფართოდ ვრცელდება სამეცნიერო-ტექნიკური პრობლემების კვლევისა და დანერგვის ორგანიზაციის ახალი ფორმა — კომპლექსური სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამები, რომელთა დამუშავებასა და განხორციელებაში მონაწილეობენ მეცნიერებათა აკადემიის გამოყენებითი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, საკონსტრუქტორო ბიუროებისა და წარმოების მუშაკთა საუკეთესო ძალები.

ეს ხელს უწყობს იმას, რომ გადაილახოს უწყებრივი ბარიერები, დაჩქარდეს პრობლემის დამუშავებისა და მისი პრაქტიკაში დანერგვის პროცესი. აბოლოს სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმა სერიოზულ ამოცანებს აყენებს რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის, მეცნიერებათა აკადემიის, სამინისტროებისა და უწყებების წინაშე.

ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულების ინტერესები მოითხოვს რესპუბლიკაში ერთიანი სამეცნიერო-ტექნიკური პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებას, ძალებისა და საშუალებების კონცენტრაციას და წარმართვას ძირითადი საკითხების გადასაწყვეტად. სწორედ ამიტომ უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება სახალხო მეურნეობის ძირითადი დარგების განვითარების სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამების შემუშავებას, რომლებშიც გათვალისწინებული უნდა იქნეს მთელი კომპლექსი კვლევა-ძიებით დაწყებული და წარმოებაში მისი შედეგების დანერგვით დამთავრებული.

ამხანაგებო! 1976-1980 წლებისათვის რესპუბლიკის მოსახლეობის რიცხვი დემოგრაფთა პროგნოზით გაიზრდება 1975 წლის 4 მილიონ 946 ათასიდან 1980 წლის 5 მილიონ 239 ათასამდე, ე. ი. 5,9 პროცენტით. მოსახლეობის საშუალო-წლიური მატება ამ პერიოდში შეადგენს 1,1 პროცენტს, ნაცვლად 1,0 პროცენტისა 1971-1975 წლებში.

მატერიალური წარმოების დარგებში დასაქმებულთა რაოდენობა 1980 წლისათვის პროექტით შეადგენს 1 მილიონ 748 ათას კაცს, ნაცვლად 1975 წლის მილიონ 684 ათასი კაცისა, ანუ გაიზრდება 3,8 პროცენტით, ხოლო არასაწარმოო დარგებში — 1975 წლის 614 ათასიდან გაიზრდება 1980 წლის 763 ათასამდე, ე. ი. 24,3 პროცენტით.

შრომითი რესურსების უფრო რაციონალური გამოყენების იხტერესები მოითხოვს რესპუბლიკის საწარმოო ძალებისა და ეკონომიკური პოტენციალის დაჩქარებულ ზრდას, აგრეთვე საწარმოთა ტერიტორიული განლაგების ძირეულ გაუჯობესებას, ჯარბმუშახელიანი რაიონების ინდუსტრიული განვითარების ინტენსიფიკაციის გათვალისწინებით.

ამჟამად რესპუბლიკის შრომითი რესურსების გამოყენების გაუმჯობესების ერთ-ერთი რეალური გზაა მსხვილ საწარმოთა ფილიალების ან ცალკეული საამქროების შექმნა მთის და მთისწინეთის ნაკლებად დასახლებულ რაიონებსა და ქალაქებში. მაგრამ ამ შესაძლებლობას სამინისტროები და უწყებები სრულად არ იყენებენ.

სოფლად შრომითი რესურსების გამოყენების ეფექტიანობის დაბალი დონე მოითხოვს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის პროცესის დაჩქარებას, მისი სტრუქტურის სრულყოფას, აგროსამრეწველო საწარმოთა და გაერთიანებათა შექმნას, სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ადგილობრივი ნედლეულის გადამუშავებელი დამხმარე საწარმოების ორგანიზაციას. ეს უზრუნველყოფს მუშახელის უფრო სრულ და თანაბარზომიერ დატვირთვას მთელი წლის განმავლობაში. გათვალისწინებულია ამ მიმართულებით ღონისძიებათა განხორციელება დაჩქარდეს მიმდინარე ხუთწლედში.

წარმოდგენილი გეგმის პროექტით შემუშავებული სოციალური განვითარების პროგრამა ითვალისწინებს მეათე ხუთწლედში სხვადასხვა ღონისძიებათა განხორციელებას შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების, განათლების, სამედიცინო მომსახურების, გარემოს დაცვის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

ხუთწლიანი გეგმის დასახულია მოსახლეობის მყიდველობითი ფონდების მაკსიმალური დაფარვა საქონლებრუნვით, მისი სტრუქტურის გაუმჯობესება, საზოგადოებრივი კვების ხვედრითი წონის გადიდება საერთო საქონელბრუნვაში, საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა გაფართოება და რაციონალური განლაგება.

მშრომელთა ფულადი შემოსავლის გადიდება განაპირობებს ფულადი საქონელბრუნვის შემდგომ ზრდას. რესპუბლიკის საქონელბრუნვის საერთო ზრდა შეადგენს 31,7 პროცენტს, ხოლო სოფლად ვაჭრობისა — 35,6 პროცენტს.

საქონელბრუნვის აბსოლუტური მატება მეათე ხუთწლედის უკანასკნელ წელს 1975 წელთან შედარებით 986 მილიონ მანეთს მიაღწევს.

ერთ სულ მოსახლეზე საქონელბრუნვა მიმდინარე ხუთწლედში 808 მანეთს შეადგენს, რაც გასული წლის მაჩვენებელზე 24,3 პროცენტით მეტია.

სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების ზრდის, ასორტიმენტის გაფართოებისა და ხარისხის გაუმჯობესების გათვალისწინებით შესამჩნევად გადიდდება რესპუბლიკის მშრომელთა მიერ ძირითადი სასურსათო და არასასურსათო საქონლის მოხმარება. მაგალითად, ხორცისა და ხორცპროდუქტების მოხმარება გაიზრდება 7 პროცენტით, თევზისა და თევზპროდუქტებისა — 50,5 პროცენტით, ბოსტნეულისა და ბაღჩეულისა — 46 პროცენტით, კარტოფილისა — 48,6 პროცენტით, ხილისა და კენკრეულისა — 35,4 პროცენტით, კვერცხისა — 32,3 პროცენტით და ა. შ. არასასურსათო საქონლის ხაზით ქსოვილების მოხმარება გადიდდება სულ 27,2 პროცენტით, ტრიკოტაჟის ნაწარმისა — 44 პროცენტით, წინდისა — 32,7 პროცენტით, ტყავის ფეხსაცმლისა — 16,7 პროცენტით.

გაუმჯობესდება მოსახლეობის უზრუნველყოფა ხანგრძლივი მოხმარების საქონლით — ტელევიზორებით, მაცივრებით, ავეჯით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქონლის ასორტიმენტი, განსაკუთრებით კი ხარისხი ჯერ კიდევ როდი აკმაყოფილებს ყოველთა მოთხოვნილებებსა და გემოვნებას. ფართო მოხმარების საქონლის მწარმოებელი მრეწველობის, უწინარეს ყოვლისა მსუბუქი და კვების მრეწველობის მუშაკთა ვალია უზრუნველყონ ისეთი ნაწარმისა და პროდუქციის გამოშვება, რომლებიც სრულად დაკმაყოფილებენ მშრომელთა გაზრდილ მოთხოვნილებებს.

მეათე ხუთწლედში დაგეგმილია მნიშვნელოვან ღონისძიებათა განხორციელება სოფლად ვაჭრობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გახმაკიცებისათვის. საექსპლოატაციოდ გადაეცემა სავაჭრო საწარმოთა 116,0 ათასი კვადრატული მეტრი ფართობი, 37 პროცენტით გაიზრდება საერთო-სასაქონლო საწყობების ფართობი, მაცივრებისა — 3,5-ჯერ.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ბოსტნეულითა და ხილით, რესპუბლიკის მოსახლეობის შეუფერხებელ მომარაგებას. აღნიშნულ საკითხს სერიოზული მსჯელობა ჰქონდათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და მინისტრთა საბჭოს, რომლებშიც თავიანთი დადგენილებით დასახეს კონკრეტული ღონისძიებები კვების პროდუქტებით მოსახლეობის მომარაგების კიდევ უფრო გაუმჯობესებისათვის.

მიმდინარე ხუთწლედში აშენდება ბოსტნეულისა და ხილის 30 სპეციალიზებული მაღაზია, რომელთა საერთო ფართობი 3.790 კვადრატულ მეტრს შეადგენს.

კვლავაც განვითარდება და გაუჯობესდება მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება. გათვალისწინებულია მისი ძოცულობა 1,6-ჯერ გადიდდეს, ნაცვლად 1,5-ჯერ საბჭოთა-საკავშირო ზრდისა, მათ შორის სოფლად — 2,1-ჯერ, ნაცვლად საკავშირო 1,7-ისა. დასახული ტემპი მესაღებლობას მოგვცემს 1980 წლის ოლიმპიადისთვის თვალწინით ეთქვა სულ მოსახლეზე გაანგარიშებით საბჭოთა-საკავშირო დონეს.

ამ დარგის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაფართოებასა და გაძიერებას ძალიან ძალეთ კაპიტალური დაბანდებანი, ანუ 18,2 პროცენტით მეტი, ვიდრე ძეცხრე ხუთწლედი.

ამას წინათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ დაამტკიცეს საქართველოს სსრ ქალაქებსა და რაიონებში მოსახლეობის საავჭრო საყოფაცხოვრებო მომსახურების ქსელის განვითარების 1977-1978 წლების გეგმა, რომელიც თვალისწინებს საწარმოთა სახსრებისა და ადგილობრივ შესაძლებლობათა გამოყენებას. ამის ეფექტით რესპუბლიკაში გაუმჯობესდება მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მდგომარეობა.

მეათე ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია საბიხაო მეურნეობის ფართო პროგრამა. დაფიხანსების ყველა წყაროა მიხედვით საექსპლოატაციოდ უნდა გადაეცეს 7 მილიონ 890 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, აქედან სოფლად — 478 ათასი კვადრატული მეტრი, რაც ერთიორად აღემატება ძეცხრე ხუთწლედის დონეს.

გეგმით დაგეგმილია აგრეთვე ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის დაკავება, რასაც მუშები და მოსამსახურეები ახორციელებენ საკუთარი სახსრებით, სახელმწიფო სესხის დახმარებით. სულ ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის მოცულობა განსაზღვრულია 1 მილიონ 204 ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის ოდენობით.

1980 წლის დამლევისათვის ქალაქის ერთი მცხოვრების უზრუნველყოფა საერთო საცხოვრებელი ფართობით შეადგენს 13,6 კვადრატულ მეტრს.

ითვალისწინებულია გაუმჯობესებული დაგეგმარების ახალი ტიპის საცხოვრებელი სახლების მშენებლობა. 25,7 ათას ბინაში ელექტრობა მთლიანად შეცვლის ცხელი სახის სათბობს.

კიდევ უფრო განვითარდება რესპუბლიკის კომუნალური მეურნეობა. ძირითადი ხუთწლეულის საბინაო-კომუნალური მშენებლობის საჭიროებისათვის გამოიყოფა 560 მილიონი მანეთი.

ისევე როგორც წინა ხუთწლედში, სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა შორის დიდი ადგილი ეთმობა სახალხო განათლების სისტემის ყოველმხრივ გაუმჯობესებასა და სრულყოფას. ამ დარგში 1976-1980 წლებისათვის დასახულია მთელი რიგი ღონისძიებანი, რათა დამთავრდეს გადასვლა საყოველთაო საშუალო განათლებაზე, განსაზღვრულია, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა კონტინგენტი 1980 წლისათვის შეადგენდეს 841,1 ათას კაცს.

განთვალისწინებულია ძირითადად ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მშენებლობისათვის კაპიტალური დაბანდება 26 პროცენტით გაიზარდოს. ეს სახსრები უზრუნველყოფენ 133 ათასი მოსწავლისათვის განკუთვნილი სკოლების საექსპლოატაციოდ გადაცემას, მათ შორის სოფლად — 90 ათასი მოსწავლისათვის.

ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს კვალიფიციურ მუშათა მომზადების გაუმჯობესებას პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემაში. ამ დარგის სასწავლებლთა ქსელი ხუთწლეულში 46 პროცენტით გაიზრდება, მოსწავლეთა ადგილების რიცხვი — 82,6 პროცენტით. პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები გადაყვანილი იქნება საშუალო განათლების სპეციალისტთა მომზადებაზე, მიღება ამ სასწავლებლებში გაიზრდება 21 პროცენტით.

მოსწავლთა საზოგადოებრივი აღზრდის გაძლიერების, დედებისათვის მუშაობის უკეთესი პირობების შექმნის მიზნით დიდი როლი უნდა შეასრულონ განაგრძლივებული დღის სკოლებმა და ჯგუფებმა. აქ 95 ათასი ბავშვი ისწავლის, 25 ათასით მეტი, ვიდრე 1975 წელს.

მიმდინარე წელს რესპუბლიკაში დაიწყო 25 სკოლის მშენებლობა ძირითადი საგეგმო დავალებებით გათვალისწინებულზე გადამეტებით. ეს შესაძლებელი გახდა ჩვენთვის საკავშირო მთავრობის მიერ გაწეული დახმარების მეოხებით, აგრეთვე დამატებით გამოვლენილი ფიხანსური და მატერიალური რესურსების გამოყენებით. გათვალისწინებულია ეს პრაქტიკა შემდგომშიც გაგრძელდეს.

სასწავლებელთა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განმტკიცების მიზნით ხუთწლეულში გათვალისწინებულია 145,5 მილიონი მანეთის კაპიტალური დაბანდებანი, ანუ 26 პროცენტით მეტი, ვიდრე მეცხრე ხუთწლედში. ეს სახსრები უზრუნველყოფენ, რომ საექსპლოატაციოდ გადაეცეს სკოლამდე ბავშვთა დაწესებულებანი 19,3 ათასი ბავშვისათვის, ნაცვლად 12,9 ათასისა ბაკულ ხუთწლედში, ზოგადსაგანმათლებლო სკოლები 13,8 ათასი მოსწავლისათვის, აქედან სოფლად — 90,3 ათასი მოსწავლისათვის, აგრეთვე უმაღლეს სასწავლებელთა 60,4 ათასი კვადრატული მეტრი ფართობის სასწავლო-laბორატორიული შენობები.

მიმდინარე ხუთწლედში აშენდება 8 ახალი კინოთეატრი 4.600 მაყურებლისათვის.

1.200-მდე ეოთეულით გაიზრდება რესპუბლიკაში ბიბლიოთეკებისა და საკლუბო დაწესებულებათა ქსელი. ხავარაუდევია, რომ 1980 წელს კინოთეატრები მოემსახურებიან 6 მილიონთან მეტ მაყურებელს, ვიდრე წინა წელს.

ამ დარგის განვითარებისათვის განკუთვნილი კაპიტალური დაბანდებები მეცხრე ხუთწლედთან შედარებით გაიზრდება 36,7 პროცენტით და ძეადგეს 49,4 მილიონ მანეთის.

მნიშვნელოვანი ღონისძიებებია გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის დარგში. კაპიტალური დაბანდებანი მთლიანად გაიზრდება 26,6 პროცენტით წინა ხუთწლედთან შედარებით. ამ სახსრების 83 პროცენტზე მეტი ძირითადად მოხმარდება საავადმყოფოების ქსელის გაფართოება-განვითარებას. ხავარაუდევია საექსპლოატაციოდ გადაეცეს 6.380 საავადმყოფო საწოლი და ცალმინ 6.550 პაციენტის მომსახურებისათვის გათვალისწინებული პოლიკლინიკები.

ეს საშუალებას მოგვცემს 1980 წლის დამლევისათვის ყოველ 10 ათას მცხოვრებზე გვქონდეს 106,7 საავადმყოფო საწოლი, 1975 წლის 96,9-ის ნაცვლად.

მეათე ხუთწლედში გათვალისწინებულია ფართო მასშტაბით განხორციელდეს ბუნების დაცვის საქმიანობები, რასაც მოხმარდება 135,5 მილიონი მანეთი კაპიტალური დაბანდებანი, ანუ 1,6-ჯერ მეტი, ვიდრე წინა ხუთწლედში.

ხავარაუდევია საძრეწველო და საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების საწმენდი ნაგებობების ძეხებლობა. აქედან ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანია თბილის-რუსთავის, ქუთაისის, აგრეთვე შავი ზღვის სანაპიროს კურორტებისა და ქალაქების გაფრმენდი ნაგებობები. შავი ზღვის სანაპიროზე პლაჟების აღდგენისა და სტაბილიზაციის მიზნით მეათე ხუთწლედში გამოყოფილია 21,1 მილიონი მანეთი კაპიტალური დაბანდებები.

დაგეგმილია ღონისძიებები ხანძრისაგან ტყეების ავიადაცვისათვის, აგრეთვე ტყის მავნებელთა და დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის ბიოლოგიური მეთოდები. დასახულია აგრეთვე გარემოს დაცვის სხვა ღონისძიებები.

ამხანაგო დეპუტატებო!

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების სახელმწიფო ხუთწლიანი გეგმა და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1977 წლის სახელმწიფო გეგმა ითვალისწინებენ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქის, ქალაქებისა და რაიონების მეურნეობისა და კულტურის შემდგომ განვითარებას.

საწარმოო ძალების განვითარებისა და განლაგების გეგმების შემუშავებისას დაგეგმილ ხუთწლეულში გათვალისწინებული იყო სახალხო მეურნეობისა და კულტურის ჰარმონიული განვითარება ტერიტორიული ნიშნების მიხედვით და მხედველობაში იყო მიღებული რესპუბლიკის ცალკეული რეგიონების წინაშე დასახული სოციალური და ეკონომიკური ამოცანები.

მეათე ხუთწლედში აფხაზეთის ასსრ სამრეწველო წარმოების მატება 1975 წელთან შედარებით შეადგენს 42,5 პროცენტს, საშუალო-რესპუბლიკურზე უფრო სწრაფი ტემპით განვითარდება ისეთი დარგები, როგორიცაა ქიმიური და კვების, ხორცისა და რძის მრეწველობა.

დაგეგმილია რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების მნიშვნელოვანი ზრდა, ხარისხოვანი ჩაის ფოთლისა — 70 ათასი ტონით, ციტრუსებისა — 41,9 ათასი ტონით, ხოლო ბოსტნეულის დამზადება 1980 წელს ერთიორად გაიზრდება, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რესპუბლიკის კურორტების მომარაგების გაუმჯობესებისათვის. მეცხოველეობაში დასახულია რძის დამზადების გადიდება 1,5-ჯერ და კვერცხისა — 2-ჯერ და მეტად.

სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე საექსპლოატაციოდ გადაეცემა 134 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. კომუნალური ობიექტების მშენებლობას მოხმარდება 22,3 მილიონი მანეთი, ანუ 80 პროცენტით მეტი, ვიდრე წინა ხუთწლეულში. გათვალისწინებულია საექსპლოატაციოდ გადაეცეს სკოლები 12,3 ათასი მოსწავლისათვის, ბაგა-ბაღები — 1,9 ათასი ბავშვისათვის.

საცალო საქონელბრუნვის მოცულობა 1980 წელს 1975 წელთან შედარებით გაიზრდება 1,4-ჯერ, ხოლო საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაციის მოცულობა — 1,6-ჯერ.

დასახული პროგრამის განხორციელების მიზნით აფხაზეთის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას რესპუბლიკური მეურნეობის ხაზით მიმდინარე ხუთწლედში გამოეყოფა 2-ჯერ მეტი კაპიტალური დაბანდება, ვიდრე 1971-1975 წლებში.

სამრეწველო პროდუქციის მოცულობა აჭარის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში გაიზრდება 25,7 პროცენტით. ზრდის განსაკუთრებით სწრაფი ტემპით ხასიათდება ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტროს საწარმოებისათვის გათვალისწინებული დავალებანი, სადაც პროდუქციის მოცულობა ხუთწლედში 2,4-ჯერ გაიზრდება. ამასთან გაიზრდება ჩაის, ციტრუსების, ტუნგისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება და დამზადება.

მეათე ხუთწლედის დამლევისათვის საცალო საქონელბრუნვა 33 პროცენტით და მეტად გაიზრდება. საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაციის მოცულობა 1,5-ჯერ გადიდდება. 1976-1980 წლებში რესპუბლიკური მეურნეობის ხაზით სანატორიუმ მშენებლობისათვის განკუთვნილი კაპიტალური დაბანდებები 1,5-ჯერ გადიდდება და საექსპლოატაციოდ გადაეცემა 90 ათას კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი ფართობი. გაფართოვდება კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების ქსელი. კაპიტალური დაბანდებანი კომუნალურ მეურნეობაში გაიზრდება 1,7-ჯერ.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, სადაც მრეწველობის განვითარებაში მაღალი ხვედრითი წონა აქვთ მსუბუქი მრეწველობის საწარმოებს, სამრეწველო პროდუქციის მოცულობა ხუთწლედის მანძილზე გადიდდება 41,7 პროცენტით.

ხილის დამზადება გაიზრდება 2,2-ჯერ, ყურძნისა — 2,3-ჯერ, ბოსტნეულისა — 3,7-ჯერ.

საცალო საქონელბრუნვა ხუთწლეულში თითქმის 1,3-ჯერ გადიდდება, საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაციის მოცულობა — 2,4-ჯერ, ხოლო საავადმყოფო საწოლების რაოდენობა — 38 პროცენტით.

რესპუბლიკური მეურნეობის ხაზით კაპიტალური დაბანდებანი კომუნალურ და საბინაო მეურნეობაში გაიზრდება 1,6-ჯერ, რაც უზრუნველყოფს 50,6 ათას კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი ფართობის საექსპლოატაციოდ გადაცემას.

ქალაქ თბილისში მეათე ხუთწლედის მანძილზე მრეწველობის პროდუქციის მოცულობა 38,2 პროცენტით გადიდდება. მისი მატება ძირითადად უნდა განხორციელდეს არსებულ სიმძლავრეთა რეკონსტრუქციის გზით. დასახულია აშენდეს კოოპერაციულ მშენებლობასთან ერთად, 1,7 მილიონ კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი ფართობი, რაც 15 პროცენტით აღემატება მეცხრე ხუთწლედის შესაბამის მაჩვენებელს; სოლები — 24,8 ათასი მოსწავლისათვის; 6.800 ადგილით გაიზრდება სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებების ქსელი. 1980 წელს საცალო საქონელბრუნვის მოცულობა 1970 წელთან შედარებით გადიდდება 34,4 პროცენტით, ხოლო საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაციის მოცულობა — თითქმის 1,7-ჯერ.

გათვალისწინებულია ქალაქის კეთილმოწყობისა და საქალაქო მეურნეობის განვითარების დარგში მნიშვნელოვან სამუშაოთა შესრულება. კერძოდ, კომუნალურ საწარმოთა განვითარებისათვის გამოიყოფა 265,4 მილიონი მანეთი, ანუ 21 პროცენტით მეტი, ვიდრე 1971-1975 წლებში.

რესპუბლიკის დედაქალაქის განვითარების მზარდი მასშტაბები მოითხოვენ დამატებითი ფინანსური და მატერიალური რესურსების გამოძებნას მრავალდარგოვანი მეურნეობის გადაუდებელ სამუშაოთა შესასრულებლად, რაც გათვალისწინებული იქნება წლიური გეგმების შესრულების პროცესში და დამატებითი რესურსების გამოყოფის გზით.

ქალაქ ქუთაისში 1976-1980 წლების მანძილზე სამრეწველო წარმოების მოცულობა გაიზრდება 33,6 პროცენტით. უპირატესი ტემპით განვითარდება მანქანათმშენებელი და ქიმიური მრეწველობის საწარმოები.

ხუთწლეულში საქალაქო საბჭოს აღმასკომისადმი დაქვემდებარებულ მეურნეობათა ხაზით კაპიტალური დაბანდებები შეადგენს 43 მილიონ მანეთს, ანუ 28,6 პროცენტით მეტს, ვიდრე მეცხრე ხუთწლედში. საბინაო მშენებლობისათვის განკუთვნილი კაპიტალური დაბანდებები კოოპერაციულ მშენებლობის გათვალისწინებით გაიზრდება 66,7 პროცენტით. საექსპლოატაციოდ გადაეცემა 167,1 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

სხვა რაიონებთან ერთად მეათე ხუთწლიან გეგმაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საქართველოს მთისა და მთისწინეთის რაიონების სახალხო მეურნეობის განვითარებას. დასახულია ამ რაიონებში საწარმოთა ფილიალების შექმნის საფუძველზე მრეწველობის განვითარების პროგრამა.

აღნიშნული რაიონების ცენტრებსა და სოფლებში კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით აშენდება საცხოვრებელი სახლები, საავადმყოფოები და პოლიკლინიკები, სკოლა-ინტერნატები, სპორტული ბაგები და ბაღები. განხორციელდება გაზიფიკაცია, ტელეფონიზაცია და რადიოფიკაცია.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილების შესაბამისად ეკონომიკის განმტკიცების მიზნით ამ რაიონებში გათვალისწინებულია სამთო მეცხოველეობის განვითარება, რისთვისაც დაგეგმილია სათიბებისა და საძოვრების მორწყვის, საბაგირო და მისასვლელი გზების გაკეთება, მეცხოველეობის კომპლექსების მშენებლობის სამუშაოები, ფერმების მექანიზაცია, ვეტმომსახურების გაუჯობესება.

გარდა ამისა, განხორციელდება ღონისძიებანი ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებისათვის. განვითარდება ადგილობრივი ნედლეულის სამრეწველო გადამუშავება, სამენი მასალების გამოშვება, გაიხსნება ფაბრიკები და საამქროები შეკერილი და საყოფაცხოვრებო ნაწარმის გამოსაშვებად.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო ხუთწლიანი ნაწილს შედგენა 1977 წლის გეგმა, რომელიც ასახულია მეათე ხუთწლედის უახლოესი პერიოდის დავალებათა გადაწყვეტის ამოცანები. გათვალისწინებულია მოხმარებისა და დაგროვებისათვის გამოყენებული ეროვნული შემოსავლის ზრდა 5,6 პროცენტით, მათ შორის, შედარებით სწრაფი ტემპით — 6,4 პროცენტით იზრდება მოხმარების ფონდი. მრეწველობის მთლიანი პროდუქცია 1976 წლის გეგმასთან შედარებით გადიდდება 6,9 პროცენტით. 1977 წელს მთლიანი პროდუქციის მოცულობა მიაღწევს 6,7 მილიარდ მანეთს და მიმდინარე წლის გეგმას 400 მილიონი მანეთით გადააჭარბებს.

1977 წლისათვის სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის ზრდა შეადგენს 4,8 პროცენტს, რაც 0,4 პროცენტით აღემატება ხუთწლედისათვის გათვალისწინებულ საძეალო-წლიური ზრდის ტემპს. სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებები დაგეგმილია 1 მილიარდ 188 მილიონი მანეთის ოდენობით, ანუ 5,9 პროცენტით მეტი 1976 წლის გეგმასთან შედარებით.

საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერება ეზრდება პროდუქტზე გაანგარიშებით გაიზრდება 6,7 პროცენტით.

მომავალი წლის გეგმაში გათვალისწინებულია ხალხის ცხოვრების დონის ამაღლების ღონისძიებანი. ერთ სულ მოსახლეზე რეალური შემოსავლის მატება მეადგეს 5,2 პროცენტს. მოსახლეობის ფულადი შემოსავლის ზრდის ფონდი სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების გადიდების შესაბამისად 6,4 პროცენტით იზრდება. საცალო საქონელბრუნვის მოცულობა, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაციის მოცულობა გაიზრდება 9,8 პროცენტით, ხოლო ოფლად — 16,9 პროცენტით.

1977 წელს მარტო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსადა დაქვემდებარებული მეურნეობის ხაზით გათვალისწინებულია 807 ათასი კვადრატული მეტრი, ანუ 1976 წელთან შედარებით 6,9 პროცენტით მეტი საერთო საცხოვრებელი ფართობის საექსპლოატაციოდ გადაცემა, რითაც გაუჯობესდება ქალაქისა და სოფლის 160 ათასი ოჯახის საბინაო პირობები.

1977 წელს კიდევ უფრო განვითარდება საქალაქო ტრანსპორტი და სხვა სახეობის კომუნალური მომსახურება, განხორციელდება სკოლებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო ობიექტების ქსელის შემდგომი გაფართოების პროგრამა.

განსახილველად წარმოდგენილი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1977 წლის გეგმის პროექტში რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი ინსტალის ძირითადი ღონისძიებანი დასახულნ, მაგრამ მრეწველობის განვითარების გათვალისწინებული ტემპი 0,2 პროცენტით ჩამორჩება ხუთწლედის საშუალო-წლიური ზრდის ტემპს. ამასთან, თუ მხედველობაში მიიღებთ იმას, რომ 1976 წლის გეგმა გადაჭარბებით — 101 პროცენტით შესრულდება, 1977 წელს რესპუბლიკის მრეწველობის პროდუქციის ზრდის ტემპი მიმდინარე წლის მოსალოდნელ შესრულებასთან შედარებით კიდევ უფრო შემცირდება. ამას ემატება ყურძნის მოუსავლიანობის გამო გამოწვეული დანაკლისი, აქედან გამომდინარე, საჭიროა 1977 წელს განსაკუთრებულ ღონისძიებათა განხორციელება იმისათვის, რომ მივაღწიოთ ხუთწლედის გეგმებით გათვალისწინებული ზრდის საშუალო წლიურ ტემპს.

გუშინ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა დასახა რეალური გზები და საშუალებები გეგმის და გათვალისწინებული ზრდის ტემპის არა მარტო მთლიანად, არამედ გადაჭარბებით შესრულებისათვის. ეს ამოცანა არც ისე იოლია. მის გადასაწყვეტად აუცილებელია სამინისტროთა, უწყებათა, საწარმოო გაერთიანებათა და საწარმოთა ხელმძღვანელებმა შიდასაწარმოო რეზერვების გამოვლინების საფეძველზე 1977 წელს იკისრონ გადიდებული დავალებები, რათა შეიქმნას გარანტირებული საფუძველი მომავალი წლების გეგმებისა და მთლიანად ხუთწლიანი გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის. ამ დიდი პატრიოტული თაოსნობის ინიციატორებად გუშინ ამ დარბაზში გამოვიდნენ ცენტრალური კომიტეტის წევრები. სწორედ აქ გაისმა პირველი მოწოდება — დავიწყოთ ეს ფრიად მნიშვნელოვანი, საპირო, პატრიოტული საქმე. 1977 წლისათვის დაძაბებითი ვალდებულებები პირველმა იკისრეს ცენტრალური კომიტეტის წევრებმა, თბილისის, ქუთაისის, ზუგდიდის, ფოთის, სამტრედიის, გურჯაანისა და სხვა პარტიული ორგანიზაციების ხარმომდგენლებმა. უკვე გუშინ ათეული მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქციის გამოშვებას ვალდებულებით უპასუხეს.

1977 წლის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით გარანტირებული შესრულების შესახებ ცენტრალური კომიტეტის დავალების პასუხად მათ, გუშინვე თავიანთი კოლექტივების სახელით, ვალდებულება იკისრეს გამოუშვან ათობით მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია. გადიდებული ვალდებულებების აღება დღესაც, ხვალაც უნდა გაგრძელდეს. უნდა შევიმუშაოთ ღონისძიებები და ჩვენი შემართებით შევუდგეთ მათს განხორციელებას. მთავარი ამოცანა, რომელშაც უნდა უზრუნველყოს სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ხუთწლიანი გეგმების შესრულება, არის მიმდინარე წლისათვის გათვალისწინებული საწარმოო სიმძლავრეების დროული ამოქმედება. მთელი ყურადღება უნდა მივაპყროთ ხუთწლედის დავალებათა წარმატებით განხორცი